

დამტკიცებულია

სკოლის დირექტორის

2019 წლის 06 სექტემბერის N23/ს ბრძანებით

განხილულია

ა(ა)იპ “ჩვენი სკოლის” პედაგოგიური

საბჭოს 2019 წლის 06 სექტემბერის N1 სხდომაზე

ა(ა)იპ“ჩვენი სკოლის“

მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა

2019-2020 სასწავლო წელი

1. შეფასების მიზანი

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება იძლევა ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

მოსწავლის შეფასების ამოცანები

მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;
- ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;
- გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს ღვამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;
- დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;
- ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

2. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმსაზღვრელი შეფასება აღგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს;

განმავითარებელი შეფასება აღგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა

ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები.

3. მოსწავლეთა გამსაზღვრელი შეფასების სისტემა

ა(ა)იპ „ჩვენი სკოლაში“ შეფასების სისტემა არის ხუთდონიანი და ათქულიანი. 10 ყველაზე მაღალი ნიშანია, 1 კი – ყველაზე დაბალი. ათქულიანი სისტემა, ერთი მხრივ, უფრო ზუსტი შეფასების საშუალებას იძლევა, მეორე მხრივ, მეტ საშუალებას აძლევს მასწავლებელს, აჩვენოს მოსწავლეს პროგრესი თუ რეგრესი.

მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება დონეებისა და ნიშნების მიხედვით

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	
6	საშუალო
5	
4	საშუალოზე დაბალი
3	
2	დაბალი
1	

I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. ამ კლასებში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. წლის ბოლოს საგნის მასწავლებლები წერენ მოსწავლის მოკლე წერილობით შეფასებას, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელი, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს დაწერს შემაჯამებელ წერილობით შეფასებას.

V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10.

V-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.


4. ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები

ოფიციალური სტატუსი აქვს შემდეგ ნიშნებს:

- **საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ქულა** – საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტის ნიშნები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- **საგნის სემესტრული ქულა** – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში (სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში გამოითვლება მისი გათვალისწინებით; გამოთვლის წესი იხ.ქვემოთ);
- **საგნის წლიური ქულა** – სემესტრული ნიშნებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. გამოწვევის წარმოადგენს მეხუთე კლასის წლიური ქულა, რომელიც მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულის იდენტურია.
- **საფეხურის საერთო ქულა** – ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (დანყებიითი, საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.

5. საგნის სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები (კომპონენტები)

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:



1. საშინაო დავალება
2. საკლასო დავალება
3. შემაჯამებელი დავალება

სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

- ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები),
- ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები),
- გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).

I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

	I-IV კლასები და V კლასის პირველი სემესტრი	V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი	საბაზო-საშუალო საფეხურები
მიმდინარე საშინაო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
მიმდინარე საკლასო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
შემაჯამებელი დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება

საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტები

საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება ნებისმიერი ტიპის დავალება (წერიტი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს.

საშინაო და საკლასო დავალებებში განმავითარებელი შეფასების გამოყენება განსაკუთრებით მაშინ არის სასურველი, როცა მოსწავლე ახალი ცოდნის/უნარების შექმნის სანყის ეტაპზეა. ამ

დროს შეცდომების დაშვება, მათი აღმოჩენა-გაანალიზება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.

საგნობრივი ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე საშინაო და საკლასო დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, სავარჯიშოების შესრულება, ექსპერიმენტი, დისკუსია და სხვა. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადასხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები.

შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში ფასდება ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა წარმოაჩინოს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნა და უნარები.

6. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი

შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი: მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, რომელიც შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, მოსწავლის სკოლაში გამოცხადების შემთხვევაში, გაკვეთილების შემდეგ.

შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება სემესტრის დასრულებამდე ან მობილობის შემთხვევაში, სკოლის მიერ ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე.

სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებლად აუცილებელია შემაჯამებელი დავალების კომპონენტში კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დანერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დანერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის მასწავლებლები, ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, შეიმუშავებენ შეფასების სქემებს(კრიტერიუმები განწერილი ქულებში).

7. ქულების გამოანგარიშების წესი

1. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

- ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა მიღებული ქულების რაოდენობაზე;
- ბ) მიღებული ქულა დამრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);
- გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი

დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

დ) თუ სემესტრის განმავლობაში სკოლიდან სკოლაში გადასვლისას აღმოჩნდება, რომ მიმღებ სკოლაში რომელიმე საგანში/საგნებში ჩატარებულია შემაჯამებელი დავალებების/დავალებების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე გამშვებ სკოლაში, მიმღები სკოლა მოსწავლის შემაჯამებელი დავალების რაოდენობას დაითვლის გამშვებ სკოლაში დადგენილი და მოსწავლის მიერ შესრულებული, ასევე მიმღებ სკოლაში მოსწავლის გადმოსვლის მომენტიდან ჩატარებული და მის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების მიხედვით;

ე) სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, სემესტრული ქულა გამოითვლება მისი გათვალისწინებით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

2. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი გაიყოფა ორზე;

ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით;

გ) თუ მოსწავლეს, სკოლიდან სკოლაში სემესტრის მიმდინარეობისას გადასვლის გამო, მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული აქვს შეფასება, რომლის საშუალო არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი, ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის სემესტრულ/წლიურ ქულად (თუ საგნის სწავლება მეორე სემესტრში არ გრძელდება). ამასთან, მიმღებმა სკოლამ უნდა შეაფასოს მოსწავლე ახალ განსხვავებულ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე;

დ) მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლიდან სკოლაში გადასვლის გამო, მიმღებ სკოლაში განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა. (მაგ. თუ მოსწავლე პირველ სემესტრში უცხოურ ენად სწავლობდა ფრანგულს, მეორე სემესტრში კი ფრანგულის ნაცვლად - გერმანულს, მაშინ ფრანგული ენის სემესტრული ქულა გადადის ფრანგული ენის წლიურ ქულად, ხოლო გერმანული ენის სემესტრული ქულა - გერმანული ენის წლიურ ქულად).

4. საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა ქულების საერთო რაოდენობაზე;

ბ) საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეთოდის სიზუსტით (მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე).

გ) დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

8. კლასისა და საფეხურის დაძლევა

1. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში - სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო

ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას.

2. დანყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

3. საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე გადასვლის უფლებას.

4. საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.

9. შეფასება და გაცდენები

1. მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის უურნალში, მათ შორის, ამ მუხლის მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული გაცდენები. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხავს მოსწავლეთა დასწრებას.

2. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააყვანიტ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

3. კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ში არ იანგარიშება ის გაცდენილი დღე/დღეები, როცა ჩატარდა შემაჯამებელი დავალება, თუკი ის მოგვიანებით მოსწავლემ აღადგინა.

4. სკოლა შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სჭირდებათ მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დანვსებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან, არ გავრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.

5. იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე, საერთაშორისო და ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე.

10. გამოცდის ტიპები

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, 2019-2020 სასწავლო წელს სკოლაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

- ❖ **სემესტრული გამოცდა;**
- ❖ **საშემოდგომო გამოცდა;**
- ❖ **ექსტერნატის გამოცდა;**

10.1 სემესტრული გამოცდა

1. სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.
2. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება იქნება დასაბუთებული.
3. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლამ მიიღებს შესაბამის ზომებს გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით.
4. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ნიშანი გამოითვლება შემდეგი წესით: **სემესტრული გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.**
4. **სემესტრული გამოცდა ტარდება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.**

10.2 საშემოდგომო გამოცდა

1. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა იქნება 5-ზე ნაკლები, სკოლა დაუნიშნავს საშემოდგომო გამოცდას ამ საგანში;
2. საშემოდგომო გამოცდამდე სკოლა კონსულტაციებს გაუწევს მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ დაენიშნებათ აღნიშნული ტიპის გამოცდა;
3. მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას მიიღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე (საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა);
4. ა(ა)იპ „ჩვენი სკოლა“ საშემოდგომო გამოცდებს ჩატარებს წერილობით ტესტირების ფორმით, 2020 წლის 30 ივნისიდან 31 ივლისის ჩათვლით. გამონაკლისის სახით, ობიექტური მიზნის შემთხვევაში, საშემოდგომო გამოცდები შესაძლებელია ჩატარდეს 2020 წლის 02 სექტემბრიდან 09 სექტემბრამდე.

10.3 ექსტერნატის ფორმით გამოცდა

1. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;

2. ექსტერნატის გამოცდას აბარებენ ის პირები, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს („წინმსწრები“) და აგრეთვე, ის მოსწავლეები, რომელთაც საბაზო/საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.

მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება

შეფასების მაღალი დონე (ქულები 9-დან 10-ის ჩათვლით) გულისხმობს სასწავლო წლის ან საფეხურის წარჩინებით დამთავრებას.

სწავლის ხარისხის შემოწმების მიზნით, სკოლა ერთ შემაჯამებელ დავალებას ატარებს შიდა სასკოლო წერის (ტესტირების) სახით V-XII კლასებში.

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N2 სახით თან ერთვის სასკოლო საათობრივი ბაღე, რომელიც:

- ა) განსაზღვრავს საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას;
- ბ) მოიცავს თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, რომელიც აზუსტებს კვირის რომელ დღეს, რა თანამიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება.

მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად, სკოლას სპორტის სახეობებად საბაზო-საშუალო საფეხურზე არჩეული აქვს: სპორტული ტანვარჯიში, სპორტული ცეკვები, თანამედროვე ცეკვები.

შეფასების რუბრიკის ნიმუშები

ნიმუში N1

დისკუსიის შეფასების სქემა

	(8-10 ქულა)	(5-7 ქულა)	(1-4ქულა)
მოსმენა	ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს	ხშირად უსმენს და უყურებს ორატორს	იშვიათად უსმენს და უყურებს ორატორს
საუბარი	მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელს	ძირითადად მეტყველება გასაგებია და უყურებს მსმენელს	მეტყველება არამკაფიოა, მსმენელებს უჭირთ გაგება
არავერბალური კომუნიკაცია	შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (თვალით, უსტებიო, გამომეტყველებით, ხმით)	ხშირად შეუძლია დაამყაროს არავერბალური კონტაქტი	იშვიათად იყენებს არავერბალურ კომუნიკაციის ფორმებს
მონაწილეობა	უჩვენებს ინტერესს დისკუსიის თემისადმი საჭირო კომენტარებითა და აზრების გამოთქმით	ძირითადად გამოხატავს ინტერესს. კომენტარები და აზრები ყოველთვის არაა თემის გარშემო	მცირე ინტერესი აქვს. არ გამოხატავს ან ვერ უკავშირებს თავის მოსაზრებებს სადისკუსიო თემას
კოოპერაცია	თანამშრომლობს თანაკლასელებთან, აცლის სხვებს აზრის გამოთქმას და იცავს დისკუსიის წესებს	ძირითადად თანამშრომლობს თანაკლასელებთან, ზოგჯერ ერთვება სხვის საუბარში, ძირითადად იცავს დისკუსიის წესებს	იშვიათად თანამშრომლობს და იცავს დისკუსიის წესებს
მოსაზრების არგუმენტირება	მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით. არის ლოგიკური კავშირი საკითხთან	მოსაზრების გასამყარებლად გამოყენებულია სადავო ფაქტები და ცნებები	მოსაზრება მოკლებულია ლოგიკურ კავშირს საკითხთან და არ არის გამყარებული ფაქტებით

ნიმუში N2

ექსპერიმენტის შეფასების სქემა

	1-3 ქულა	4-5 ქულა	6-7 ქულა	8-10 ქულა
კვლევის მიზნის განსაზღვრა	არასწორად აყალიბებს მიზანს	ნაწილობრივ სწორად აყალიბებს მიზანს	აყალიბებს მიზანს	სრულყოფილად აყალიბებს მიზანს
საჭირო ინვენტარის განსაზღვრა	არასწორად ჩამოთვლის საჭირო მასალას	ჩამოთვლის საჭირო მასალის ნაწილს	ჩამოთვლის ძირითადად საჭირო მასალას	ჩამოთვლის ყველა საჭირო მასალას და ინვენტარს
კვლევის შედეგების ვარაუდი	არასწორად აყალიბებს ვარაუდს	გამოთქვამს სწორ ვარაუდს	აყალიბებს და ნაწილობრივ ასახულებს თავის ვარაუდს	აყალიბებს და სასბუთებს თავის ვარაუდს
კვლევის მიმდინარეობის აღწერა	არასწორად ჩამოთვლის კვლევის ეტაპებს	ჩამოთვლის კვლევის ზოგიერთ ეტაპს	ჩამოთვლის კვლევის ძირითად ეტაპებს	სრულად ჩამოთვლის ეტაპებს
მონაცემების აღრიცხვა	აღრიცხავს არასწორ მონაცემებს	აღრიცხავს მონაცემებს ნაწილობრივ და უსისტემოდ	აღრიცხავს მონაცემებს ნაწილობრივ და უსისტემოდ	აღრიცხავს მონაცემებს ნაწილობრივ და უსისტემოდ
მონაცემთა ანალიზი	არასწორად აკეთებს მონაცემთა ანალიზს	აკეთებს მონაცემთა ანალიზს მცირე ხარვეზებით	აკეთებს მონაცემთა ანალიზს	აკეთებს მონაცემთა სრულ ანალიზს
დასკვნა	არასწორად აკეთებს შესაბამის დასკვნას	აკეთებს ნაწილობრივ სწორ დასკვნებს	აკეთებს ძირითადად დასკვნებს	აკეთებს სრულფასოვან დასკვნებს

ნიმუში N3

ინფორმაციის მოძიება

კრიტერიუმები	1-3	4-5	6-7	8-10
ინფორმაციის მოძიების წყაროები	იყენებს მხოლოდ საკუთარ ინფორმაციას	იყენებს მხოლოდ სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას	იყენებს მხოლოდ რამდენიმე ინფორმაციის წყაროს	იყენებს მრავალფეროვან საინფორმაციო საშუალებებს
მოძიებული ინფორმაციის შესაბამისობა	მასალა არ არის საკითხის შესაბამისი	მასალა ნაწილობრივ შეესაბამება საკითხს	მასალა ძირითადად შეესაბამება საკითხს	მასალა სრულიად შეესაბამება საკითხს
მოპოვებული ინფორმაციის ორგანიზებულიობა	მასალა არ არის სწორად ორგანიზებული	მასალა ნაწილობრივ ორგანიზებულია	მასალა ორგანიზებულია, მაგრამ რთულად აღსაქმელი	მასალა კარგად და მოსახერხებელადაა ორგანიზებული
მოძიებული ინფორმაციის ანალიზი	ვერ იყენებს სკოლის მასალას მიზნობრივად	ნაწილობრივ მიზნობრივად იყენებს მოძიებულ მასალას.	ძირითადად მიზნობრივად იყენებს მოძიებულ მასალას.	მიზნობრივად იყენებს მოძიებულ მასალას

ნიმუში N5

გეპირმეტყველების შეფასების სქემა

კრიტერიუმები	მაღალი	საშუალოზე მაღალი	საშუალო	საშუალოზე დაბალი	დაბალი
	(9-10)	(7-8)	(5-6)	(3-4)	(1-2)
საუბარი	მკაფიოდ მეტყველებს და აქვს კონტაქტი მსმენელთან.	ძირითადად მეტყველება გასაგებია და აქვს კონტაქტი მსმენელთან.	ცდილობს მკაფიოდ გამოთქვას სათქმელი, თუმცა მსმენელებს უჭირთ გაგება.	მეტყველება არამკაფიოა, მსმენელებს უჭირთ გაგება.	უჭირს გასაგებად მეტყველება.
არავერბალური კომუნიკაცია	შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (თვალით, უესტებით, გამომეტყველებით, ხმით).	ხშირად შეუძლია დაამყაროს არავერბალური კონტაქტი.	იშვიათად იყენებს არავერბალურ კომუნიკაციის ფორმებს.	ცდილობს არავერბალური კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენებას.	არ იყენებს არავერბალურ კომუნიკაციას.
მოსაზრების არგუმენტირება	მოსაზრება ორიგინალურია	მოსაზრება გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით. არის ლოგიკური კავშირი საკითხთან	მსჯელობს, თუმცა მოსაზრება მოკლებულია ლოგიკურ კავშირს საკითხთან და არ არის გამყარებული ფაქტებით	ცდილობს არგუმენტის მოძიებას, თუმცა უჭირს მოსაზრების ფაქტებით გამყარება	ვერ მოჰყავს არგუმენტი, არ შეუძლია არგუმენტირებულად მსჯელობა
ლოგიკური ბმა	საუბრისას წინადადებები და თემები ლოგიკურად ებმის ერთმანეთს	წინადადებები ყოველთვის ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებულ, ხშირად ახალი თემაც პირდაპირ უკავშირდება	სათქმელი ლოგიკურადაა გადმოცემული, თუმცა ახალი თემა პირდაპირ კავშირში არ არის ძირითად სათქმელთან	ცდილობს, სათქმელი ლოგიკურად დააწყოს	საუბრისას არ შეუძლია სათქმელი ლოგიკურად დააწყოს

		ძირითად სათქმელს			
--	--	---------------------	--	--	--

ნიმუში N 6

პრეზენტაციის შეფასების სქემა

ამ შემთხვევაში მოსწავლეებს თითოეულ კრიტერიუმში ენიჭება ნული ან ერთი ქულა, საბოლოო ქულის გამოსაყვანად ითვლება მათი ჯამი; მაქსიმალური ქულა არის ათი ქულა.

საინტერესო შესავალი (პრობლემის იდენტიფიცირება)	1
კვლევები/ნაშრომის წარმოჩენის უნარი	1
შემოქმედებითი უნარი	1
პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება	1
თემის გასაგებად წარმოდგენა (ლოგიკური ჯაჭვი)	1
საუბარი (გამართულობა, ტემბრი)	1
თვალსაჩინოების გამოყენება	1
აუდიტორიასთან კონტაქტი	1
ინფორმაციის ფლობის უნარი (ადეკვატური კითხვა-პასუხი)	1
დროის ლიმიტის დაცვა	1
ჯამი	10

ნიმუში N7

პროექტის შეფასების სქემა

		ელემენტარული 1 ქულა	მისაღები 2 ქულა	ოსტატური 3 ქულა
1	მიზანი	არ არის კარგად გამოკვეთილი, ბუნდოვანია	ხდება ერთ მიზანზე ფოკუსირება	კარგად გამოკვეთილი მიზნები, მარტივად აღსაქმელი
2	ორგანიზება	სუსტად ორგანიზებული, არ არის იდეებს შორის ლოგიკური ჯაჭვი, რაც აბნევს მკითხველს/ მსმენელს	გააზრებულია თანმიმდევრულობა , ორგანიზების ნიშნით, ზოგი გადასვლა იდეებს შორის არის მარტივი, ზოგი გაუგებარი	კარგად ორგანიზებული ფორმატი, ლოგიკური გადასვლა ერთი იდეიდან მეორეზე, ორგანიზება ზრდის პროექტის ეფექტურობას
3	შინაარსის კორექტულობა	გვხვდება ხშირი შეუსაბამო, მცდარი ინფორმაცია, შეყავს შეცდომაში მკითხველი/მსმენელი	ძირითადად კორექტულია, შეუსაბამო ან მცდარი ინფორმაციით	მთლიანად კორექტული, ფაქტები ზუსტი და მკაფიო
4	ენობრივი გამართულობა	ენობრივად გაუმართავი, ხშირი შეცდომებით	ენობრივად გაუმართავი, მცირე შეცდომებით	ენობრივად გამართულია, დაცულია პუნქტუაციის ნიშნები
5	კვლევა	კვლევა არაეფექტურადაა დაგეგმილი, გამოყენებული წყარო არაა სანდო, ანალიზი ზედაპირულია	კვლევა დაგეგმილია, მაგრამ ჯგუფის პოტენციალი მთლიანად არ არის გამოყენებული, შეზღუდულია წყაროები, ანალიზი მისაღებია	კვლევა სწორად არის დაგეგმილი, გამოყენებულია არა ერთი წყარო და ანალიზიც სიღრმისეულია

6	თვალსაჩინოებები	თვალსაჩინოებები ხშირად შინაარსთან შეუსაბამოა, ან არ არის ჯგუფის მიერ შექმნილი	თვალსაჩინოების კავშირი შინა-არსთან არის, მაგრამ ერთფეროვანია, გამოიყენება მოძი-ებელი და ჯგუ-ფის მიერ შექმნილი	მრავალფეროვანი, შინაარსის შესატყვისი, აკურატულად შესრულებული
7	შემოქმედებითობა	მცირე შემოქმედებითი ენერჯის დანახარჯი ჯგუფის მხრიდან	ზოგჯერ ჩანს ჯგუფის ორიგინალური აზრები, რაც ეხმარება პროექტის უკეთ წარმოჩენაში	ჩანს ჯგუფის ორიგინალობა, სიახლე და თავისებური ხედვა, რაც პროექტს საინტერესოს ხდის
8	კავშირები საგნებთან	არ ჩანს ჯგუფის კომპეტენცია საგნებში, გვხვდება ფაქტების უზუსტო ინტერპრეტირება	მოსაზრებები და კავშირებულია ერთი ან ორი საგნიდან მიღებულ ცოდნასთან	ხდება მთავარი მოსაზრებების და კავშირება სხვადასხვა საგნიდან მიღებულ ცოდნასთან, რაც მიუთითებს ჯგუფის მრავალი მიმართულებით კომპეტენტურობაზე
9	დასკვნები	არ არის ჩამოყალიბებული დასკვნები	დასკვნები ჩამოყალიბებულია კვლევის ადეკვატურად, მაგრამ არ არის მკაფიო	დასკვნებში არის სიახლე (ორიგინალობა), ლოგიკური კავშირი იგრძნობა კვლევასთან, ისინი მკაფიოდაა ჩამოყალიბებულია
10	პრეზენტაცია	ეფექტურად არ არის წარმოჩენილი პროექტის არსი, უჭირს აზრის ჩამოყალიბება და პასუხების გაცემა, არ არის მიზნობრივად გამოყენებული თვალსაჩინოებები	ბუნდოვნად აყალიბებს პროექტის არსს, იყენებს თვალსაჩინოებებს, პასუხობს შეკითხვების უმეტესობას	ნათლად ჩამოყალიბებული პროექტის არსი, მკაფიო მეტყველება, აუდიტორიაზე გათვლილი, ძირითადი იდეებია გამლილი, იყენებს თვალსაჩინოებებს და პასუხობს ყველა კითხვას

ნიმუში N8

3.1. რეფერატის შეფასების სქემა

ამ შემთხვევაში მე-3 და მე-5 კრიტერიუმები ფასდება 0-2 ქულით, ხოლო ყველა დანარჩენი 0 ან 1 ქულით. მაქსიმალური ჯამი არის ათი ქულა.

1	მიზანი/თეზისი - კვლევის შედეგად გამოთქმული ძირითადი იდეა	1	
2	რეფერატის ორგანიზება	1	
3	შინაარსის კორექტურობა, ფაქტობრივი საიმედოობა	2	
4	ენობრივი გამართულობა	1	
5	კვლევა	2	
6	ილუსტრაციები/თვალსაჩინოებები	1	
7	შეთავაზებული მოსაზრების არგუმენტებითა და მაგალითებით გამყარება	1	
8	დასკვნები	1	
	ჯამი	10	

ნიმუში N9

დისკუსიის შეფასების სქემა

	(8-10 ქულა)	(5-7 ქულა)	(1-4ქულა)
მოსმენა	ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს	ხშირად უსმენს და უყურებს ორატორს	იშვიათად უსმენს და უყურებს ორატორს
საუბარი	მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელს	ძირითადად მეტყველება გასაგებია და უყურებს მსმენელს	მეტყველება არამკაფიოა, მსმენელებს უჭირთ გაგება
არავერბალური კომუნიკაცია	შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (თვალით, უესტებით, გამომეტყველებით, ხმით)	ხშირად შეუძლია დაამყაროს არავერბალური კონტაქტი	იშვიათად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს
მონაწილეობა	დისკუსიისას გამოთქმული კომენტარებით გამოხატავს ინტერესს განსახილველი თემისადმი	ძირითადად გამოხატავს ინტერესს. კომენტარები და აზრები ყოველთვის არაა თემის გარშემო	მცირე ინტერესი აქვს. არ გამოხატავს ან ვერ უკავშირებს თავის მოსაზრებებს სადისკუსიო თემას
კოოპერაცია	თანამშრომლობს თანაკლასელებთან, არ აწყვეტინებს სხვებს საუბარს და იცავს დისკუსიის წესებს	ძირითადად თანამშრომლობს თანაკლასელებთან, ზოგჯერ ერთვება სხვის საუბარში, ძირითადად იცავს დისკუსიის წესებს	იშვიათად თანამშრომლობს და იცავს დისკუსიის წესებს
მოსაზრების არგუმენტირება	მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით. არის ლოგიკური კავშირი საკითხთან	მოსაზრების გასამყარებლად გამოყენებულია სადავო ფაქტები და ცნებები	მოსაზრება მოკლებულია ლოგიკურ კავშირს საკითხთან და არ არის გამყარებული ფაქტებით

ნიმუში N10

უცხოური ენის, ქართული ენისა და ლიტერატურის ზეპირმეტყველების შეფასების სქემა

	ქულები
პირობასთან შესაბამისობა	
იცავს დროის ლიმიტს	0 – 1
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (მოსაზრება, არგუმენტები, დასკვნა)	0 - 0, 5 – 1
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანმიმდევრულად ავითარებს მას	0 – 1- 2
მოჰყავს ადეკვატური არგუმენტები და მაგალითები	0 - 1-2
გამოაქვს ადეკვატური დასკვნა	0 – 1
ენობრივი უნარ-ჩვევები	
ადეკვატურად იყენებს ზეპირი მსჯელობისათვის დამახასიათებელ არავერბალურ საშუალებებს (მაგ., უესტიკულაციას, ინტერვალს საუბარში, ხმის სხვადასხვა დონეს და ა.შ.)	0-1
იყენებს მსჯელობითი ტექსტისათვის დამახასიათებელ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს	0 – 1
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები	
აქვს საინტერესო მოსაზრებები, მოჰყავს ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები	0 – 1
ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 10 (ქულები მრგვალდება მთელის სიზუსტით)	

ნიმუში N11

უცხოური ენის, ქართულ ენისა და ლიტერატურის წერითი შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა

კრიტერიუმების ბაღე შემაჯამებელი წერითი დავალებისათვის	ქულები
პირობასთან შესაბამისობა	
იცავს სიტყვების რაოდენობის ქვედა ზღვარს	0 - 1
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს	0 - 1
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
გასაგებად და თანამიმდევრულად გადმოსცემს ინფორმაციებს	0 - 1 - 2
გამოხატავს პერსონაჟის დამოკიდებულებას, ემოციას	0 - 1
ენობრივი უნარ-ჩვევები	
სწორად იყენებს ნასწავლ გრამატიკულ ფორმებს	0 - 1 - 2
იყენებს ნასწავლ ლექსიკას /აქვს სათანადო ლექსიკური მარაგი	0 - 1 - 2
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები	
ენობრივი თვალსაზრისით, იჩენს გაბედულებას, ავლენს ფანტაზიის უნარს, ორიგინალურობას	0 - 1
ქელათა მაქსიმალური რაოდენობა 10	

ნიმუში N12

მათემატიკის წერიითი შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა

	1-3 ქულა	4-5 ქულა	6-7 ქულა	8-10 ქულა
ამოცანები, რომლებიც მათემატიკური აპარატის გამოყენებას მოითხოვს	მოყვანილია რამდენიმე ძირითადი ფორმულა ამოცანების ამოხსნის გარეშე	ამოხსნილი ერთი ამოცანა	ამოხსნილია ამოცანების ნაწილი ან ყველა ამოცანა ამოხსნილია არასრულად	ამოხსნილია ყველა ამოცანა

ფასდება მიღებული ცოდნის შეჯამების, ანალიზისა და დასკვნების გამოტანის უნარი, წერიითი უნარ-ჩვევები, დროის ლიმიტის უნარი.

ნიმუში N13

13.1 სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა

პრაქტიკული სამუშაოს (ნამუშევრის) შეფასება					
თარიღი:		სამუშაოს (ნამუშევრის) სახეობა:			
მოსწავლე	შეფასების კრიტერიუმები				შემაჯამებელი ქულა
	ორგანიზებულობა (დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო აღჭურვილობის ქონა)	მასალის, ტექნიკისა და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ფლობა	შემოქმედებითობა, ანუ რამდენად ეფექტურად იყენებს ტექნიკას, მასალას და მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს ჩანაფიქრის გადმოსაცემად	თანამშრომლობა ჯგუფური მუშაობის დროს	ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 10
	0-1	0-3	0-4	0-2	
1.					
2.					
3.					
4.					
5.					
6.					

13.2 სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა

პრაქტიკული სამუშაოს (ნამუშევრის) შეფასება						
თარიღი:		სამუშაოს (ნამუშევრის) სახეობა: მაგ:ნატურმორტი				
მასალა:			აკვარელი, გუაში			
მოსწავლე	შეფასების კრიტერიუმები					შემაჯამებელი ქულა
	კომპოზიცია	ფორმა/ მოცულობა	ფერი	ფაქტურა	სივრცე	ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 10
	რამდენად ახერხებს დასახატი ობიექტების სასურათე სიბრტყეზე კომპოზიციურ განაწილებას (კომპოზიციური ბალანსის დაცვა და ა.შ.) და ურთიერთ თანაფარდობის გადმოცემას	რამდენად იცავს საგნის პროპორციებს და რამდენად ახერხებს მათი მოცულობის გადმოცემას შუქ-ჩრდილის საშუალებით	რამდენად შეესატყვისება ფერთა გამა დასახატი ობიექტებს, ან რამდენად შემოქმედებულად არის გადანწყვეტილი ფერის ამოცანა ნამუშევარში	რამდენად ახერხებს დასახატი ობიექტების (საგნების, დრაპირების (ქსოვილის)) ფაქტურის გადმოცემას	რამდენად ახერხებს სივრცის ეფექტის შექმნას (წინა პლანი, შუა პლანი, უკანა პლანი (ფონი))	
	0-2	0-2	0-2	0-2	0-2	
1.						
2.						
3.						
4.						
5						
6.						
7.						

13.3 სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა

პრაქტიკული სამუშაოს (ნამუშევრის) შეფასება					
თარიღი:		სამუშაოს (ნამუშევრის) სახეობა:			
მოსწავლე	შეფასების კრიტერიუმები				შემაჯამებელი ქულა
	ორგანიზებულიობა (დროის ლიმიტის დაცვა, საჭირო აღჭურვილობის ქონა)	მასალის, ტექნიკის და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ფლობა	შემოქმედებითობა, ანუ რამდენად ეფექტურად იყენებს ტექნიკას, მასალას და მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს ჩანაფიქრის გადმოსაცემად	თანამშრომლობა ჯგუფური მუშაობის დროს	ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 10
	0-1	0- 3	0- 4	0-2	
1.					
2.					
3.					
4.					
5.					
6.					
7.					

ნიმუში N14

შემაჯამებელი დავალება ზეპირმეტყველებაში

დავალების პირობა:

გაეცანით მოცემულ თვალსაზრისს და მოამზადეთ ზეპირი გამოსვლა, რომელშიც:

- ა) წარმოადგინოთ თქვენს მოსაზრებას ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით;
- ბ) მოიყვანოთ არგუმენტებსა და მაგალითებს თქვენი მოსაზრების დასამტკიცებლად;
- გ) გამოიტანოთ დასკვნას/დასკვნებს.

ზეპირი გამოსვლის მაქსიმალური დროა 5 წუთი.

	ქულა	კომენტარი
პირობასთან შესაბამისობა		
იცავს დროის ლიმიტს	0 - 1	
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (მოსაზრება, არგუმენტები, დასკვნა)	0 - 0, 5 - 1	
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები		
გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანამიმდევრულად ავითარებს მას	0 - 1- 2	
მოჰყავს ადეკვატური არგუმენტები და მაგალითები	0 - 1- 2	
გამოაქვს ადეკვატური დასკვნა	0 - 1	
ენობრივი უნარ-ჩვევები		
ადეკვატურად იყენებს ზეპირი მსჯელობისათვის დამახასიათებელ არავერბალურ საშუალებებს (მაგ., უესტიკულაციას, ინტერვალს საუბარში, ხმის სხვადასხვა დონეს და ა.შ.)	0-1	
იყენებს მსჯელობითი ტექსტისათვის დამახასიათებელ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს (მაგ., განკერძოებულ სიტყვებს, გამოთქმებს, ჩართულს, პირობით-შედეგობით კონსტრუქციას და ა.შ.)	0 - 1	
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები		
აქვს საინტერესო მოსაზრებები, მოჰყავს ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები	0 - 1	
ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 10 (ქულები მრგვალდება მთელის სიზუსტით)		

ნიმუში N15

ტექსტური ამოცანა, რომლის ამოხსნა მოითხოვს განტოლების შედგენას და ამოხსნას

საფეხურები	ქულა
ამოცანის მონაცემების ორგანიზება	
ამოხსნისათვის საჭირო მონაცემების ამოკრეფა ამოცანის ტექსტიდან	0 - 1
მონაცემების ორგანიზება და ისეთი ხერხით ჩაწერა, რომელიც აადვილებს ამოხსნის გზის მოძებნას	0 - 1
ადეკვატური აღნიშვნების შემოტანა	
საძიებელი სიდიდეების გამოყოფა	0 - 1
საძიებელი სიდიდეებისათვის ასოითი აღნიშვნების შემოღება	0 - 1
მათემატიკური ობიექტებისა და პროცედურებისათვის სწორი აღნიშვნების გამოყენება (მაგალითად: ფუნქციის, ალგებრული მოქმედების)	0 - 1
ამოხსნის გზის მოძებნა	
განტოლების შედგენის წინმსწრები მსჯელობა	0 - 1
განტოლების შედგენა	0 - 1
ამოხსნის გზის რეალიზება და პასუხის მიღება	
განტოლების ამოხსნის ხერხის მოძებნა	0 - 1
განტოლების ამოხსნა და პასუხის მიღება	0 - 1 - 2

ნიმუში N16

შემაჯამებელი დავალება ზეპირმეტყველებაში

დავალების პირობა: მოცემულ სურათზე დაყრდნობით შეადგინე და მოყევი ამბავი - რა ხდებოდა სურათის გადაღებამდე ორისამი საათით ადრე და რა მოხდა შემდეგ. დააზუსტე პერსონაჟთა ვინაობა, დაახასიათე ისინი, გადმოეცი ამბები, მიუთითე მოქმედებათა თანამიმდევრობა, დრო და ადგილი. საუბრის მინიმალური დრო - 2 წუთი

კრიტერიუმების ბაღე ზემოთ მოცემული შემაჯამებელი ზეპირი დავალებისათვის	ქულები	კომენტარი
პირობასთან შესაბამისობა		
იცავს დროის ლიმიტს	0 - 1	
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს	0 - 1	
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები		
თანამიმდევრულად აღწერს/გადმოსცემს მოქმედებებს	0 - 1	
განსაზღვრავს მოქმედების დროსა და სივრცეს	0 - 1	
ენობრივი უნარ-ჩვევები		
იყენებს ნასწავლი დროის გამომხატველ გრამატიკულ კონსტრუქციებსა და ენობრივ ფორმებს	0 - 1	
ადეკვატურად იყენებს ზმნის წარსული დროის გამომხატველ ფორმებს	0 - 1	
იყენებს ნასწავლ ლექსიკას	0 - 1	
შემოქმედებითი უნარ-ჩვევები		
ავლენს ფანტაზიის უნარს, ორიგინალურობას	0 - 1	
იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით	0 - 1	
<i>ქულათა მაქსიმალური რაოდენობა (10)</i>		

ნიმუში N17

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

შეფასების რუბრიკის შესაძლო ფორმა

კლასი		
მოსწავლის სახელი, გვარი		
თემა		
დავალების პირობა		
შეფასების კრიტერიუმები	ქულები	კომენტარი

ნიმუში N18

კრიტერიუმები	ქულები (მაქსიმუმ 10 ქულა)
მკაფიოდ იკითხება თამაშის ალგორითმი;	0-2
თამაში აკმაყოფილებს დავალების პირობას (მაგ., კლავიატურის გამოყენებით თამაში, ტურების არსებობა თამაშში);	0-3
თამაშის შექმნის და საბოლოო პროდუქტის გაზიარების მიზნით მოსწავლე იყენებს ონლაინ საკომუნიკაციო სისტემებს (მაგ.: იმეილი, სოციალური ქსელი)	0-3
თამაშის შექმნისას მოსწავლე ითვალისწინებს საავტორო უფლებებთან და პლაგიატთან დაკავშირებული საკითხებს.	0-2

ნიმუში N19

შემაჯამებელი დავალება წერით მეტყველებაში

თემა - სტუმრად უცხო ქალაქში		
<p>დავალების პირობა: დააკვირდი სქემაზე მონიშნულ მარშრუტს და წერილობით აუხსენი შენს სტუმარს, როგორ მოვიდეს შენამდე. ყურადღება მიაქციე!</p> <ol style="list-style-type: none"> რომელი გზით არის უკეთესი წამოსვლა, შენამდე ადვილად რომ მოვიდეს? ურჩიე, რით ჯობია, რომ წამოვიდეს. მიუთითე, როგორ მოვიდეს შენამდე. შესთავაზე სხვა ვარიანტიც. <p>გამოიყენე!</p> <ol style="list-style-type: none"> გირჩევ, უნდა, შეგიძლია თუ ... , მაშინ ... <p style="text-align: center;">სიტყვების მინიმალური რაოდენობა – 20</p>		
შეფასების კრიტერიუმები	ქულები	განმავითარებელი შეფასების კომენტარი
პირობასთან შესაბამისობა		
იცავს სიტყვების რაოდენობის ქვედა ზღვარს	0 - 1	
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (შეთავაზებულია გზის ორი ვარიანტი)	0 - 1	
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები		
სწორად არის ახსნილი პირველი გზა	0 - 1 - 2	
სწორად არის ახსნილი მეორე გზა	0 - 1 - 2	
ენობრივი უნარ-ჩვევები		
სწორად იყენებს ზმნის ფორმებს	0 - 1 - 2	
სწორად იყენებს ნასწავლ ლექსიკას	0 - 1 - 2	
ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	10	

10 ქულაზე მეტი შეფასების რუბრიკის გამოყენების შემთხვევაში, მიღებული ქულის 10 ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით: მიღებული ქულა უნდა გამრავლდეს 10-ზე და გაიყოს მაქსიმალურ ქულაზე (მაგ. თუ შეფასების რუბრიკა არის 40 ქულიანი და მოსწავლემ მიიღო 27 ქულა, ქულის კონვერტაცია ხდება შემდეგი სახით: $(27 \cdot 10 : 40 = 6,75)$)